სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

21/04/2026

MES 2 26 0000462098

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პერსონალის სამუშაო დროის ხანგრძლივობის განსაზღვრის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის - საქართველოს შრომის კოდექსის 24-ე მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 57-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის და უნივერსიტეტის შინაგანაწესის მე-10 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,

**ვბრძანებ:**

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პერსონალისთვის, გარდა ამ ბრძანების მე-2-მე-5 პუნქტებით განსაზღვრული პერსონალისა, სამუშაო კვირა განისაზღვროს 5 სამუშაო დღით - ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, 10.00 საათიდან 18.00 საათამდე, შესვენების დრო - 13.00 საათიდან 14.00 საათამდე.
2. უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარების საუნივერსიტეტო სამსახურის პერსონალისთვის სამუშაო კვირა განისაზღვროს 6 სამუშაო დღით - ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, 10.00 საათიდან 18.00 საათამდე, შესვენების დრო - 13.00 საათიდან 14.00 საათამდე, ხოლო შაბათს სამუშაო დროის ხანგრძლივობა განისაზღვროს 10.00 საათიდან 15.00 საათამდე.
3. უნივერსიტეტის ფაკულტეტის/სკოლის პერსონალისთვის (გარდა სასწავლო პროცესის განმახორციელებელი პერსონალისა), სამუშაო კვირა განისაზღვროს 6 სამუშაო დღით - ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, 10.00 საათიდან 18.00 საათამდე, შესვენების დრო - 13.00 საათიდან 14.00 საათამდე, ხოლო შაბათს სამუშაო დროის ხანგრძლივობა განისაზღვროს 10.00

საათიდან 14.00 საათამდე. ფაკულტეტის/სკოლის იმ დამხმარე პერსონალის სამუშაო დროის გრაფიკი, რომელთა ფუნქცია-მოვალეობები დაკავშირებულია სასწავლო პროცესის (ცხრილების) მიმდინარეობასთან, განისაზღვრება შესაბამისი ფაკულტეტის/სკოლის დეკანის ბრძანებით, საქართველოს ორგანული კანონის - საქართველოს შრომის კოდექსის 24-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

4. საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის პერსონალისთვის სამუშაო კვირა განისაზღვროს 6 სამუშაო დღით - ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, 10.00 საათიდან 20.00 საათამდე, ხოლო შაბათს სამუშაო დროის ხანგრძლივობა განისაზღვროს 10.00 საათიდან 15.00 საათამდე. საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის პერსონალისთვის სამუშაო დროის გრაფიკს შეიმუშავებს საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის დირექტორი უნივერსიტეტის რექტორთან შეთანხმებით.

5. უნივერსიტეტის დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის პერსონალისთვის სამუშაო კვირა განისაზღვროს 7 სამუშაო დღით, ორშაბათიდან კვირის ჩათვლით, სამსახურის პერსონალისთვის სამუშაო დროის გრაფიკს შეიმუშავებს სამსახურის უფროსი უნივერსიტეტის რექტორთან და ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან (კანცლერთან) შეთანხმებით.

6. ამ ბრძანების მე-4 და მე-5 პუნქტებით განსაზღვრული პერსონალის სამუშაო დროის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 40 საათს, ხოლო დასვენების დრო - დღეში 1 საათს. აღნიშნული პერსონალის სამუშაო დროის გრაფიკი ყოველთვიურად წარედგინოს უნივე რსიტეტის ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახურს.

7. ზამთრის პერიოდში, 01 ნოემბრიდან 01 აპრილამდე სამუშაო დროის ხანგრძლივობა განისაზღვროს 10.00 საათიდან 17.00 საათამდე.

8. ბრძანება ძალაშია გამოცემის დღიდან.

9. ბრძანება გამოცხადდეს საჯაროდ და გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე, ასევე განთავსდეს უნივერსიტეტის შენობებში თვალსაჩინო ადგილზე.

10. ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის უზრუნველყოს უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახურმა.

11. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პერსონალისათვის სამუშაო დროის ხანგრძლივობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის 2018 წლის 03 აპრილის №05-04-11/270 ბრძანება.

12. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

რექტორი
გურგენიძე დავით